დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2026 წლის 8 ივნისის #03/32 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში

მოსწავლეთა რემედიაციის წესი

2026

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას, რემედიაციას.

2. რემედიაცია - მოსწავლის ცოდნაში, გაგებასა თუ უნარებში არსებული ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრის პროცესია. თუ მოსწავლეს სხვადასხვა მიზეზის გამო აქვს შეფერხება სწავლაში (მაგ, ბევრი გაცდენები, მობილობა და სხვა) და სათანადოდ ვერ ივითარებს ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს, სკოლა-გიმნაზია - გიმნაზია სთავაზობს რემედიაციის პროგრამას, მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შემცირებას ან სრულად გადაჭრას.

3. რემედიაციის პროცესი მოიცავს მოსწავლის დახმარებას დამატებითი ინსტრუქციებით, ტექნოლოგიებით, რესურსებით და მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული დამატებითი მეცადინეობებით. რემედიაციული პროგრამა ორიენტირებულია თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომელსაც სკოლა-გიმნაზია - გიმნაზიის ადმინისტრაციის კლასის ხელმძღვანელისა და მშობელთა აქტიური ჩართულობით ახორციელებს რემედიატორი მასწავლებელი. სარემედიაციო პროგრამა ხორციელდება მაშინ, როდესაც ის რეალურად საჭიროა ანუ როდესაც მოსწავლეები ჩვეულებრივი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით ვერ ახერხებენ ამა თუ იმ უნარის დაუფლებას ან გარკვეული მიზეზები გამო არ აქვს ნასწავლი კონკრეტული თემა. რემედიაციული დახმარება სჭირდებათ მოსწავლეებს, რომელთათვისაც კლასში დიფერენცირებული სწავლება არ არის საკმარისი საკვანძო ცნებებისა და უნარ-ჩვევების დასაუფლებლად. რემედიატორი მასწავლებელი შეიძლება არ იყოს მოსწავლის საგნის მასწავლებელი.

მუხლი 2. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფი და შერჩევის კრიტერიუმი

1. რემედიაცია ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე და ესგ-ს სტნდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და სტრატეგიები. რემედიაციის მიზანია იმ მოსწავლეების მხარდაჭერა, რომლებსაც აქვთ კონკრეტული აკადემიური პრობლემები და საჭიროებენ დამატებით დახმარებას, რათა გააუმჯობესონ სწავლების შედეგები.

2. რემედიაციის პროცესს წინ უსწრებს მოსწავლის საჭიროებების დადგენა/ მოსწავლ(ებ)ის იდენტიფიცირება, მოსწავლის შეფასებების ანალიზი, გასაუბრება მოსწავლესთან, სხვა საგნის მასწავლებლებთან, მშობელთან/მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენელთან, მშობლის თანხმობის მიღება.

3. რემედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის მოსწავლის შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა. მოსწავლეს ახასიათებს სამიზნე უნარებში გამოხატული პრობლემა;

ბ. მოსწავლეს არა აქვს უნარიანობის დამაკმაყოფილებელი დონე კითხვაში;

გ. მოსწავლეს არა აქვს მძიმე ან/და ძალიან მძიმე ინტელექტუალური, ფსიქო-სოციალური ან ფიზიკური დარღვევა, რაც საჭიროება სპეციალური, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობას;

დ. მოსწავლის მშობელი თანახმაა მოსწავლის ჩართვაზე რემედიაციის პროგრამაში;

ე. მოსწავლეს შეუძლია სრულფასოვნად ჩაერთოს რემედიაციის პროგრამაში;

ვ. მედიაცია გამოტოვა სხვადასხვა მიზეზით.

მუხლი 3. სარემედიაციო პროცესის ხელმძღვანელობა სკოლა-გიმნაზიაში

1. მოსწავლეთა სარემედიაციო ჯგუფთან გაკვეთილებს წარმართავს საგნის მასწავლებელი, რომელიც, შესაძლოა იყოს, ან არ იყოს საგნის ძირითადი მასწავლებელი სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეების კლასებში.

2. მასწავლებლის კომპეტენტურობასა და დროულ, სწორ რეაგირებაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად წარიმართება პრობლემის აღმოფხვრის პროცესი.

3. იმისათვის, რომ მოსწავლეთა საჭიროებების ფართო სპექტრი დაკმაყოფილდეს, სარემედიაციო ჯგუფების მასწავლებლებს აუცილებლად სჭირდებათ კლასის ხელმძღვანელის, საგნის ძირითადი მასწავლებლისა და მშობლების მხარდაჭერა და ჩართულობა.

მუხლი 4. სარემედიაციო ჯგუფის ზომა და რაოდენობა.

1. რემედიაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ჯგუფური რემედიაციის დროს ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 2-5 მოსწავლით. ჯგუფურ რემედიაცაში ჩართულ მოსწავლეთა საჭიროებები ერთნაირია. თუ რემედიაციის შემდეგ მოსწავლემ ჯერ კიდევ არ მიაღწია სასურველ შედეგებს, მასწავლებელი განიხილავს სხვა სტრატეგიებს ან დამატებით რესურსებს,

2. მოსწავლეთა რაოდენობისა და სკოლა-გიმნაზია-გიმნაზიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სკოლა-გიმნაზიაში შეიძლება შეიქმნას ერთი, ორი ან რამდენიმე სარემედიაციო ჯგუფი საგანში.

მუხლი 5. რემედიაციის ეტაპები:

რემედიაციის პროცესი წარიმართება 4 ეტაპად.

- ინტერვენციების დაგეგმვა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;
- სარემედიაციო აქტივობების ჩატარება;
- პროგრესის მონიტორინგი – შუალედური შეფასება (საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა სასწავლო მასალასა და სტრატეგიებში) და საბოლოო შეფასება.

მუხლი 6.რემედიაციის სახეები

1. რემედიაციის სახეებია:

ა. გაკვეთილში ჩაშენებული რემედიაცია;

ბ. დამატებითი გაკვეთილების სახით სასწავლო პროცესის შემდეგ მართული რემედიაცია (შესაძლებელია ჩატარდეს პირისპირ ან ონლაინ რეჟიმში).

მუხლი 7. მეთოდები და მიდგომები

1. რემედიაციის პროცესი წარიმართება მოსწავლისათვის უსაფრთხო, ნდობის ატმოსფეროში. მოსწავლის სწავლის ტემპის გათვალისწინებით. მიზნები იქნება დაკონკრეტებული, გაზომვადი.

2. მოსწავლის ასაკის გათვალისწინებით გამოყენებული იქნება სხვადასხვა სტრატეგიები, მეთოდები და მიდგომები. მათ შორის:

ა. როლური თამაშები;

ბ. არსებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება;

გ. სწავლის სიძნელის დონისა და დავალებების მოთხოვნების გაკონტროლება;

დ. კითხვების დასმა;

ე. დაკონკრეტება;

ვ. თანმიმდევრობის დაცვა სწავლების პროცესში;

ზ. უნარ-ჩვევის მოდელირება;

თ. სტრატეგიული მინიშნებები;

ი. დავალების შემცირება, გამარტივება, ადაპტირება;

კ. თვითშეფასება (მოსწავლის);

ლ. ვიზუალიზაცია (დიაგრამებით, სქემებით სწავლების გამოყენება);

მ. ქეისებით სწავლება;

ნ. პრობლემების გადაჭრით სწავლება;

ო. ისეთი დავალებების შეთავაზება, რომელსაც მოსწავლეები რეალურად აწყდებიან და შემოქმედებითია;

პ. მინი ლექციები;

ჟ. დისკუსიები;

რ. ტესტირებები, შებრუნებული საკლასო ოთახი და სხვა. შესაძლებელია ონლაინ პლათფორმების გამოყენებაც.

მუხლი 8. პროცესის ადმინისტრირება

1. მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებას ადგენს მასწავლებელი.

2. მასწავლებელი მიმართავს კლასის ხელმძღვანელსა და შესაბამის კათედრას. კათედრა იღებს გადაწყვეტილებას რემედიაციის თაობაზე (უარის შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა იყოს არგუმენტირებული).

3. კათედრის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით. კათედრის გადაწყვეტილება ეცნობება სასწავლო დარგში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს (წერილობით ან ზეპირად). მშობელს კათედრის გადაწყვეტილებას აცნობს კლასის ხელმძღვანელი შეტყობინების სახით (edupage-ის ან სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით). მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა შეიძლება გამოიხატოს როგორც პირადად, ასევე ელექტრონული ფოსტის ან edupage-ის საშუალებით, რაც საკმარის საფუძველს ქმნის რემედიაციის პროცესის დასაწყებად.

მუხლი 9. რემედიაციის პროცესში მონაწილეთა ფუნქციები და მოვალეობები

1. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში

ა. სასკოლო საზოგადოებას აცნობს რემედიაციის პროგრამის მნიშვნელობასა და არსს;

ბ. მონაწილეობს ინტერვენციის საბოლოო შედეგების შეჯამებაში;

გ. ქმნის რემედიაციის განხორციელებისთვის ხელსაყრელ გარემოსა და პირობებს სკოლა-გიმნაზიაში (საკლასო ოთახის გამოყოფა, განრიგის შემუშავება (დანართის შესაბამისად), საკანცელარიო რესურსებით უზრუნველყოფა, და ა.შ.);

დ. არჩევს კვალიფიციურ და მოტივირებულ მასწავლებლებს რემედიაციის პროგრამის განსახორციელებლად;

ე. მონაწილეობს მასწავლებლების საორიენტაციო შეხვედრაში;

ვ. აორგანიზებს, მონაწილეობს და ეხმარება მასწავლებლებს სარემედიაციო ჯგუფებისთვის მოსწავლეთა შერჩევის პროცესში;

ზ. მონიტორინგს უწევს სარემედიაციო პროგრამის განხორციელებას, რეგულარულად ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს სთავაზობს კონსტრუქციულ უკუკავშირს;

თ. საჭიროებისამებრ, მონაწილეობს სარემედიაციო პროგრამისა და გაკვეთილების დაგეგმვაში;

ი. ადგენს ფოკუსირებული ტესტისა და ინდივიდუალური ფოკუსირებული ინტერვიუების ჩატარების განრიგს;

კ. შემუშვებულ განრიგს უზიარებს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს;

ლ. მონაწილეობს სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეთა შერჩევის პროცესში:

მ. აღმასრულებელ დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან ერთად ატარებს ფოკუსირებულ ტესტირებას და აანალიზებს მის შედეგებს;

ნ. საგნის მასწავლებელთან და სხვა რემედიატორ მასწავლებელთან თანამშრომლობით ატარებს ინდივიდუალურ ფოკუსირებულ ინტერვიუს შერჩეულ მოსწავლეებთან.

ო. აღმასრულებელ დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს სარემედიაციო პროგრამასა და გაკვეთილების გეგმებს;

პ. აღმასრულებელ დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან თანამშრომლობით განიხილავს და აანალიზებს მოსწავლეების შედეგებს შემდეგი მასალების საფუძველზე: ტესტები, მოსწავლის პორტფოლიო, მასწავლებლის ჩანაწერები და ა.შ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს მოსწავლისათვის; რეკომენდაციებს უზიარებს კლასის ხელმძღვანელს, საგნის ძირითად მასწავლებელსა და მშობლებს. მონაწილეობს რემედიაციის პროგრამის შემაჯამებელ შეხვედრაში.

2. საგნის ძირითადი მასწავლებელი:

ა. თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და კლასის ხელმძღვანელთან რემედიაციის მსვლელობის დროს;

ბ. ატარებს საგნის ფოკუსირებულ ტესტს, აანალიზებს შედეგებს და უზიარებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;

გ. ეხმარება სარემედიაციო პრობლემების კვლევის პროცესში;

მოსწავლეთა აკადემიური სასწავლო პროცესში ითვალისწინებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებლის რეკომენდაციებს;

დ. თანამშრომლობს მშობელთან მოსწავლის სარემედიაციო პროგრამაში ეფექტურად მონაწილეობის მიზნით.
ე. ატარებს სარემედიაციო გაკვეთილებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით;
ვ. აკვირდება და აღრიცხავს მოსწავლეთა პროგრესს;
ზ. რეგულარულად თანამშრომლობს მშობლებთან, ფსიქოლოგთან, კლასის ხელმძღვანელთან და საგნის ძირითად მასწავლებელთან მოსწავლის მოტივაციისა და სასწავლო შედეგების ამაღლების მიზნით;
თ. სარემედიაციო პროგრამის დასასრულს ატარებს ფოკუსირებულ ტესტს (პოსტ-ტესტს) მოსწავლეთა პროგრესის გაზომვის მიზნით;
3. კლასის ხელმძღვანელი
ა. თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და საგნის ძირითად მასწავლებელთან; ეხმარება სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს მოსწავლეთა აკადემიური პრობლემების კვლევის პროცესში;
ბ. ხელს უწყობს მშობლების მხარდაჭერას მოსწავლის სარემედიაციო პროგრამაში მონაწილეობის პროცესში.
ვ. ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას მშობელსა და სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს შორის.
4. მშობელი:
ა. ეცნობა რემედიაციის პროგრამის ფარგლებში მოსწავლესთან დაკავშირებულ მიზნებს, გაკვეთილის განრიგსა და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას;
ბ. თანამშრომლომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელთან, საგნის ძირითად მასწავლებელსა და კლასის ხელმძღვანელთან მოსწავლის აკადემიური პრობლემების შესწავლის მიზნით; უზრუნველყოფს მოსწავლის რეგულარულად დასწრებას სარემედიაციო გაკვეთილებზე;
ვ. მოსწავლეს უქმნის სარემედიაციო გაკვეთილებში ნაყოფიერად ჩართულობისათვის ხელსაყრელ პირობებს (კვება, სასწავლო ნივთები, ტრანსპორტირება, და ა.შ).

მუხლი 10. წესის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

1. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა რემედიაციის წესს ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის რექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.
2. რემედიაციის წესის ნებისმიერი ცვლილება ან გაუქმება შესაძლოა მოხდეს პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით.

დანართი

მეცადინეობების განრიგი

რემედიატორი მასწავლებელი

კლასი მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი

მიზანი (კონკრეტული, გაზომვადი, დროში მიღწევვადი)

თემა/საკითხი	მოსალოდნელი შედეგი	მეცადინეობების რაოდენობა	შეფასების ინსტრუმენტი	დრო	შენიშვნა